საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-929

16/11/2018

ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იფარის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ბლექ სი გრუპის“ მიერ ინერტული მასალის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბლექ სი გრუპის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იფარის მიმდებარე ტერიტორიაზე ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსება იგეგმება მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იფარის მიმდებარე ტერიტორიაზე, X-280317; Y-4765191 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლის ფუნქციონირება დაგეგმილია 24 თვის მანძილზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის კომპანიაზე დარეგისტრირების პროცედურები. მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარე ენგურის მიმდებარედ (პირველ ტერასაზე).

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 90 მეტრში, ხოლო ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის მთავარი ცენტრალური საავტომობილო გზიდან დაშორებულია 100 მეტრით. საწარმოდან მდ. ენგური დაშორებულია 25 მეტრით.

სკრინინგის განცხადებით საწარმოში დაგეგმილია ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი დანადგარის მოწყობა ჰორიზონტალური და ვერტიკალური სამსხვრეველათი 120 ტ/სთ წარმადობით. საწარმო არ გამოიყენებს საწვავს. წლიურად საწარმო უშვებს 240 000 ტ. ინერტულ მასალას. კარიერიდან მოპოვებული ნედლეული იტვირთება ავტოთვითმცლელში და გადაიტანება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ღია საწყობში. შემდეგ, მასალა მიეწოდება სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროს მიმღებ ბუნკერს. ბუნკერიდან ინერტული მასალა გაივლის ცხაურს, რომლის მეშვეობით მოხდება დიდი ზომის ქვების განცალკევება, საიდანაც ქვები გაივლის ჰორიზონტალურ სამსხვრეველაში და მოხდება მათი დამსხვრევა. დამსხვრეული ქვა შეერევა ცხაურგავლილ მასალას და მიიღება სხვადასხვა ფრაქცია. მიღებული მასალა კონვეიერის საშუალებით დაგროვდება სანაყაროზე, სადაც შეინახება განსაზღვრული ვადით.

საპროექტო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ დაფარულია მყარი საფარით (ინერტული მასალით), ხოლო მიწის ზოგიერთ ადგილას ფიქსირდება 3-5 სმ-იანი მიწის ნაყოფიერი

ფენა, რომელიც დასაწყობდება შემდგომი რეკულტივაციის მიზნით, ამიტომ ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მდ. ენგურიდან დაგეგმილია საწარმოო მიზნით წყლის აღება. მდინარეში გაუწმენდავი წყლების ჩაშვების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილია ჰორიზონტალური ოთხკამერიანი სალექარების მოწყობა. სალექარების პარამეტრები და მათში არსებული დაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის(ინერტული მასალების რეცხვა/დანამვისათვის, საწარმოს ტერიტორიის და მშენებარე გზის მონაკვეთის ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვა), ამიტომ გამოყენებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება მოხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც სავარაუდოთ იქნება წლიურად 50000-დან 100000მ^3 -მდე. საწარმოს მიერ გაწმენდილი წყლის ჩაშვება განხორციელდება მდ. ენგურში.

ინერტული მასალის რეცხვისას და სველი წესით მსხვრევისას საჭიროა 360 000მ^3/წელ წყალი, აქედან 75%-270000მ^3/წელ ჩამდინარე წყალია.

სამეურნეო–საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად მოეწყობა წყალგაუმტარი ორმო, (გამოყენებული წყლების შემკრები ავზი/რეზერვუარი,), საიდან მოხდება ამ წყლების გატანა და შესაბამისი ნებართვის საფუძველზე მესტიის ან ზუგდიდის გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება.

საწარმოს გარე პერიმეტრს უშუალოდ ესაზღვრება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, ხოლო საპროექტო ტერიტორიიდან 4 - 4,3 კმ-ში მდებარეობს სვანეთის ეროვნული პარკი, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება მცენარეულ საფარს, იგი ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქებით, შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებას.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით ზემოქმედება ნაწილობრივ მოსალოდნელია ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება ძირითადად იქნება ინერტული მასალის მსხვრევის შედეგად არაორგანიზებული გაფრქვევის ემისია (მტვერი), რომელიც დიდი რაოდენობით მოსალოდნელი არ არის.

ვიზუალური შეფასებით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ (1 კმ) არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა საწარმო არ აღინიშნება, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია, როგორც სახიფათო (გამოწვეული ნავთობპროდუქტებით), ისე არასახიფათო (ინერტული და მუნიციპალური) ნარჩენების წარმოქმნა, თუმცა საწარმოს საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულია ნარჩენების პრევენციისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარჩენების სწორი მართვის მეთოდები.

არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების გადაცემა მოხდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „ბლექ სი გრუპის“ მიერ დაგეგმილი ინერტული მასალების

გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია, საქმიანობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს ,,ბლექ სი გრუპის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,ბლექ სი გრუპი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ბლექ სი გრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი